სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება N43

ბათუმი 06 მაისი, 2022 წელი

1. ზოგადი ნაწილი.

1.1 ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ: ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“,** (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ფაქტ. მის.: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №90ა, ს/კ 445532308,) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის აკაკი ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ნიკა,** (მის: ხელვაჩაური, სოფ. შარაბიძეები, ს/კ 448391758), შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა ჯიმშერაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები;

1.2 საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: **ქ. ბათუმში, აკაკი წერეთლის ქ. N6-ში და ხახულის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსებზე სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული სახურავების აღდგენითი სამუშაოები.**

1.3 შესყიდვის საფუძველი - ელექტრონული ტენდერი: **SMP220001287.**

1.4 CPV45261910 - სახურავის შეკეთება; CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები.

1.5 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 62 546,71 (სამოცდაორი ათას ხუთას ორმოცდაექვსი ლარი და სამოცდათერთმეტი თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

1.6 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრები.

1.7 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

1.8 სამუშაოს შესრულების ვადა: 2022 წლის 8 ივლისის ჩათვლით.

1.9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2022 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით.

1.10 სამუშაოს შესრულების ადგილი: ქ. ბათუმში, აკაკი წერეთლის ქ. N6 და ხახულის ქ. N53

2. პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

2.1 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში წერილობითი ფორმით წარუდგინოს შემსყიდველს საკადრო შემადგენლობა, რომელიც შესაბამისი სფეროების მიხედვით უხელმძღვანელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესს (ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას). საკადრო შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ფორმას განსაზღვრავს შემსყიდველი.

2.2 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში ჩაანაცვლოს მის მიერ განსაზღვრული საკადრო შემადგენლობა შემსყიდველისთვის მისაღები სხვა პირებით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. და 2.2. პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი საკადრო შემადგენლობის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო აღნიშნული პუნქტებით განსაზღვრული ვადების 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტით დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

2.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია შეცვალოს საკადრო შემადგენლობა, რის შესახებაც შემსყიდველს უნდა ეცნობოს წინასწარ წერილობითი ფორმით. აღნიშნული შესაძლებლობა არ გამორიცხვას ამ მუხლის 2.2. პუნქტით განსაზღვრულ მიმწოდებლის ვალდებულებას.

2.5 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტზე მომუშავე პირების (პერსონალი) რაოდენობისა და მათი სამუშაოთა სახეობების მიხედვით განაწილების შესახებ, ამგვარი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2.6 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წერილობითი ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტზე მომუშავე ყველა ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციის შესახებ ამ ორანიზაციათა გამოცდლების შესახებ ინფორმაციაზე მითითებით არაუგვიანეს 5 დღით ადრე სანამ ქვეკონტრაქტორი შეუდგება საქმიანობას.

2.7 წინამდებარე ხელშეკრულების 2.5. და 2.6. პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტით დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

3. პროექტის განხორციელების ვადების მართვა

3.1 შემსყიდველი უფლებას იტოვებს პროექტის ვადების მართვის მიზნით მოსთხოვოს მიმწოდებელს გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა ან შემოიფარგლოს წერილობითი დავალების მიცემით, რომელიც უნდა შეიცავდეს სამუშაოების დაწყების და დასრულების კონკრეტულ ვადებს.

3.2. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი ფორმით შემსყიდველს წარუდგინოს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი. გეგმა-გრაფიკის დათქმულ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში მისი წარუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

3.3. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს გეგმა-გრაფიკის კორექტირება, რის შესასრულებლადაც შემსყიდველი მიმწოდებელს წერილობითი ფორმით განუსაზღვრავს კორექტირების გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო მითითებული ვადის 20 (ოცი) კალენდარული დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, გაზარდოს როგორც დასაქმებული პერსონალისა და მანქანა-მექანიზმების რაოდენობა, ისე სამუშაო რეჟიმი (სამუშაო დროის ზრდა, ღამის ცვლის დამატება, 24 (ოცდაოთხი) საათიანი რეჟიმი). აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა. ხსენებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05 (ნული მთელი ხუთი მეასედი) %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ან შემსყიდველი ისარგებლებს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლებით და მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას. მას შემდეგ რაც აღმოიფხვრება საგანგებო რეჟიმში მუშაობის აუცილებლობა, შემსყიდველთან შეთანხმებით მიმწოდებელი უფლებამოსილია დაუბრნდეს სამუშაო სტანდარტულ რეჟიმს.

3.5. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, შეცვალოს ქვეკონტრაქტორი კომპანია, რომელიც არაჯეროვნად (უხარისხოდ/დაგვიანებით) ასრულებს სამუშაოებს. აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა. ხსენებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05 (ნული მთელი ხუთი მეასედი) %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ან შემსყიდველი ისარგებლებს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლებით და მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

3.6. გეგმა-გრაფიკის ან წერილობითი დავალებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ჩაითვლება საპატიოდ, თუ შესაბამისი ვადის გასვლამდე მიმწოდებელი დაუყოვნებლივ შეატყობინებს შემსყიდველს ისეთი დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ, რომელიც ობიექტურად ამართლებს ვადაგადაცილებას. მიმწოდებელი ვალდებულია დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრისთანავე წარუდგინოს შემსყიდველს კორექტირებული გეგმა-გრაფიკი. ამ პუნქტის მიზნებისათვის ვადაგადაცილების საპატიოდ მიჩნევის საკითხს აფასებს მხოლოდ შემსყიდველი, რომელიც 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მოთხოვნის დაკმაყოფილების, ან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუკი მიმწოდებლის პასუხი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გაიცა მას შემდეგ, რაც გავიდა შესაბამისი სამუშაოსათვის განკუთვნილი ვადა, მიმწოდებელს ამ ვადის დარღვევისთვის არ დაერიცხება ჯარიმა.

<u>3.7. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.8. პუნქტით გათვალისწინებული საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების 0,5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო გეგმა-გრაფიკით ან წერილობითი დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების (თითოეული პუნქტის ან ობიექტის) ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტულ ობიექტზე (ან თითოეული პუნქტით) ვადაგადაცილებით შესრულებული სამუშაოების 0,5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი) ოდენობით.</u>

3.8. სხვადასხვა მიწისქვეშა კომუნიკაციის შეხვედრის შემთხვევაში შემსრულებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის გადატანა მისი დაზიანების გარეშე. მიმწოდებელი ვალდებულია აიღოს ნებართვები, რომლებიც ეხება სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებულ გზის შეზღუდვას, ხეების მოჭრას და მწვანე საფარის რეკონსტრუქციას. მიმწოდებელი ასევე ვალდებულია, უზრუნველყოს წყალმომარაგების, კანალიზაციის, გაზმომარაგების, ელექტრომომარაგებისა და ტელესაკომუნიკაციო ქსელების გათიშვის, ჩართვისა

და გადალაგების ორგანიზება. მიმწოდებელი, ნებართვების მოპოვების მიზნით, უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველის წერილობითი შუამდგომლობა შესაბამის ორგანიზაციებში წარსადგენად.

3.9. შემსყიდველმა შესაძლებელია საკუთარი სურვილით ხელი შეუწყოს მიმწოდებელს სამუშაოების შესრულებაში, ასევე, მოიპოვოს თანხმობები იმ კერძო პირებისგან, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალონ ან ხელს უშლიან სამუშაოების წარმოებას. თუ სახეზეა ასეთი ხელშეშლა, მიმწოდებელი ვალდებულია ასეთი ფაქტის გამოვლენისთანავე დროულად აცნობოს შემსყიდველს წერილობითი ფორმით.

3.10. მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია მნიშვნელოვანი მასალების შესახებ წარმოადგინოს მასალების შესყიდვისა და მოწოდების გეგმა-გრაფიკი (მის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად). აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო მითითებული ვადის 10 (ათი) კალენდარული დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზემოაღნიშნული წესი ვრცელდება ასევე იმ შემთხვევებზეც, როდესაც მიმწოდებელი მასალების შესყიდვას ახორციელებს ქვეკონტრაქტორი პირისგან ან აღნიშნული პირის საშუალებით.

3.11. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შემსყიდველისა და მიმწოდებელის უფლებამოსილი წარმომადგენლები, ან სხვა სუბიექტები, რომლებთაც დელეგირებული აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება, ატარებენ ობიექტის შემოწმებას სამუშაოების წარმოების ყველა ეტაპზე შესრულებული სამუშაოს საქართველოში მოქმედ ნორმების მოთხოვნებთან ხარისხობრივი და ფუნქციონალური შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მართვა.

4.1 შემსყიდველის მხიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ტექნიკურ ზედამხედველობის განახორციელებაზე მიმწოდებელს აცნობოს დამატებით. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ტექნიკურ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის ჩანაცვლება. ასეთ შემთხვევაში სხვა პირისთვის უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული სამუშაოების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

4.2 იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირდება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში შეთანხმებული პროექტიდან ან მასში მოცემული საპროექტო გადაწყვეტებიდან გადახვევა (პროექტის დარღვევა) ან ზოგადსამშენებლო სტანდარტებთან შეუსაბამობა, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები, მოითხოვოს ფიზიკური სამუშაოების შემსრულებლ(ებ)ის შეცვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა. შემსყიდველის აღნიშნული გადაწყვეტილებათაგან, ნებისმიერის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზიანი.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე შეასრულა სამუშაოები, რომლებიც სცილდება პროექტით გათვალისწინებულ სამუშაო მოცულობებს ან/და განახორციელა ახალი სახეობის სამუშაოები, მაშინ შემსყიდველს არ წარმოეშობა ამ სამუშაოების ღირებულების ანგარიშსწორების ვალდებულება, იმის მიუხედავად, ემსახურებოდა თუ არა აღნიშნული სამუშაოები შესყიდვის საგნის პროექტით განსაზღვრული საბოლოო შედეგის მიღწევას. შემსყიდველი უფლებამოსილია ხსენებული თანხმობა გასცეს აღნიშნული სამუშაოების შესრულებამდე, შესრულების პროცესში ან შემდგომ.

4.4 მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, სამუშაოების შესრულების ან/და მასალების ხარისხის შეუსაბამობაზე შემსყიდველისგან მიღებული პრეტენზია დააკმაყოფილოს სამუშაოების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ წინა ეტაპზე (ეტაპებზე) მიღება-ჩაბარების აქტით მიღებულ სამუშაოებზე, შეუსაბამობები ხარისხთან მიმართებაში გამოვლინდა მხოლოდ შემდგომ პერიოდში. პრეტენზიის დაკმაყოფილებისათვის შემსყიდველი განსაზღვრავს გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ერთჯერადად 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მიმწოდებელი კვლავ დაჯარიმდება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო შესრულებისათვის მესამედ განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

4.5 პროექტით განუსაზღვრელი ტექნოლოგიით ან მეთოდოლოგიით სამუშაოს შესრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შემსყიდველს. წერილობით შეტყობინებაში მითითებული უნდა იქნეს თუ რა ტექნოლოგიით (მეთოდოლოგიით) აპირებს მიმწოდებელი არასტანდარტული სამუშაოს შესრულებას. თუ შემსყიდველი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში ოფიციალურად არ აცნობებს პასუხს მიმწოდებელს, გაგზავნილი წინადადება შეთანხმებულად ითვლება. აღნიშნული პროცედურის შესრულების გარეშე, მიმწოდებლის მიერ მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და ფუნქციონალურ ეფექტურობაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4.6 არასტანდარტული გადაწყვეტილების შეთანხმებისათვის, მიმწოდებელი აგზავნის ოფიციალურ შეტყობინებას შემსყიდველთან. წერილობით შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნეს თუ როგორ შეასრულებს არასტანდარტულ სამუშაოს და ასევე რა მეთოდოლოგიით იხელმძღვანელებს. შემსყიდველი წერილობით აცნობებს პასუხს მიმწოდებელს შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუ შემსყიდველი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში ოფიციალურად არ აცნობებს პასუხს მიმწოდებელს, გაგზავნილი წინადადება შეთანხმებულად ითვლება. აღნიშნული პროცედურის შესრულების გარეშე, მიმწოდებლის მიერ მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და ფუნქციონალურ ეფექტურობაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4.7 ხარჯთაღრიცხვაში, ხოლო პრეისკურანტის შემთხვევაში - პრეისკურანტში, ახალი სახის სამუშაოს ერთეულის ფასის ასახვა დაშვებულია მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის საექსპერტო ბიუროს, კერძოდ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე. საექსპერტო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს შესაბამისი მომსახურების გაწევის (ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა) აკრედიტაცია. ახალი ერთეულის ფასის დადგენაზე გაწეული საექსპერტო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოადგენს მიმწოდებლის ვალდებულებას, ამასთან, პრეისკურანტში შესაბამისი სამუშაოს ან მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით დაწესებულ ზღვრულ ოდენობას.

4.8 ხარჯთაღრიცხვის/პრეისკურანტის კორექტირება ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა გათვალისწინებით.

4.9 მიმწოდებელი ვალდებულია ყველა ის სამუშაო, რომელიც უკავშირდება ატმოსფერული ნალექებით, ქარით გამოწვეულ ზემოქმედებისგან დაცვას, სანიტარული წერტილების ვენტილირებად ფუნქციონირებას, ბუნებრივი აირმომარაგებისა და ელექტროგაყვანილობების უსაფრთხო ექსპლუატაციას ან სხვა სამუშაოებს, შეასრულოს მთლიანად საკუთარი პასუხისმგებლობით, ფუნქციონალურად უნაკლოდ. შესრულებულ სამუშაოებში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიეცემა გონივრული ვადა, რა ვადაშიც ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო შემსყიდველის მიერ განსაზღვრული დამატებითი (მეორე) ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებელი კვლავ დაჯარიმდება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. მესამე შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

4.10 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო დოკუმენტაციით დაუზუსტებელი ისეთი ტიპის სამუშაოების შესრულება, რომელიც, როგორც წესი, დადგენილია სამშენებლო წესებით და სტანდარტებით (ხის, ლითონის, ქვის დეტალების, ნაძერწი ფიგურების რესტავრაციის, საცრემლეების, წვიმასატარი მილების, მუხლების, ძაბრებისა და ღარების, მათი სამაგრების დამზადება-მოწყობის, გადახურვის სიბრტყეებზე თუნუქის შეერთებების ნაწიბურების მდგარი და დაწვენილი ნარიმანდების, კარ-ფანჯრების ალათებისა და ნაოთხალების მდგომარეობის, სიბრტყითი ზედაპირების ვერტიკალური და ჰორიზონტალური უსწორობების, კედლებისა და კარნიზების, სწორხაზოვანი ნაკეთობებისა და სხვა მსგავსი სახეობების, საღებავით ზედაპირების დაფარვის ინტენსივობის გადახრების დასაშვები სტანდარტები და ა.შ.) შეათანხმოს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელთან.

4.11. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სარეაბილიტაციო ობიექტის დროებითი წყალმომარაგება და ელექტრომომარაგება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვების და ტექნიკური პირობის გათვალისწინებით;

4.12. მიმწოდებელი ვალდებულია, მესამე პირთაგან ობიექტის დაზიანების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის ორგანოებს და აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს შემსყიდველს.

5. სამშენებლო სამუშაოების მიღება.

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წერილობითი ფორმით აცნობოს სამუშაოების დასრულების შესახებ სამუშაოების დასრულებისთანავე. წერილს თან უნდა ახლდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5.3 შემსყიდველის მხიდან შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს 4.1 მუხლით განსაზღვრული პირი.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ხდება წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ან იმ სუბიექტის ხელის მოწერით, ვისაც დელეგირებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს (არაუმეტეს პრეისკურანტით/ხარჯთაღრიცხვით დადგენილი ერთეული ღირებულების) შესაბამისად წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2-ის) საფუძველზე.

5.5 შემსყიდველს, ან სხვა სუბიექტს, ვისაც დელეგირებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, შეუძლია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე, მანამ სანამ არ მოხდება წუნის გამოსწორება ან თანმხლები დოკუმენტაციის სრულყოფა.
5.6 მიღება-ჩაბარების აქტს (ფორმა N2), ადგენს მიმწოდებელი, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობებისა და პრეისკურანტის/ხარჯთაღრიცხვის ფასების (თითოეული პოზიცია) მიხედვით, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს სახელმწიფო შესყიდვის ტენდერში დაფიქსირებულ სამუშაოების ერთეული პოზიციის ღირებულებებს და მოცულობებს.
5.7 მიმწოდებელი, მიღება-ჩაბარების აქტს (ფორმა N2) შემსყიდველს წარუდგენს შემდეგი სახით: ნაბეჭდი (2 ეგზემპლარი) ან/და ელექტრონული ვერსიის სახით.
5.8 შემსყიდველის წარმომადგენელი - ტექნიკური ზედამხედველი, ან სხვა სუბიექტი, ვისაც დელეგირებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, ადასტურებს წარმოდგენილ ფორმა N2-ში აღწერილი სამუშაოების სახეობებს, მოცულობებს და ასევე იმ ფაქტს, რომ სამუშაოთა ერთეული ფასების მაჩვენებლები და მოცულობები არ აღემატება პრეისკურანტით/ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ ერთეულის ფასებს და შესაბამისობაშია ხელსეკრულების სხვა პირობებთან.
5.9 მიმწოდებელი ვალდებულია: მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).
5.10 მიმწოდებელი ვალდებულია ფარული სამუშაოების წარმოებისას, შეადგინოს ფარული სამუშაოების აქტი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ფარული სამუშაოების აქტს მიმწოდებლის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად ხელს უნდა აწერდეს ტექნიკური ზედამხედველი ან ის სუბიექტი ვისაც შემსყიდველისაგან დელეგირებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება.
5.11 მიმწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა შესყიდვის საგნის დაცვა-შენარჩუნებაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღემდე.
5.12 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ძირითად მასალებთან დაკავშირებული სერტიფიკატები და ლაბორატორიული დასკვნები. ძირითადი მასალების ჩამონათვალს შემსყიდველი განსაზღვრავს.
5.13 მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ობიექტ(ებ)ზე სამუშაოების დასრულების შემდეგ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან (აკრედიტებული დაწესებულების მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი დაწესებულების აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი); ექსპერტიზისათვის საჭირო ხარჯები უნდა გაიღოს მიმწოდებელმა; წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულ სამუშოებზე უნდა პასუხობდეს კონკრეტულად დასმულ კითხვას:მიმწოდებლის მიერ შესრულებული ყველა სამუშაო შესაბამისობაშია თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.14 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.15 დადგენილი ხარვეზების გამოსწორების გარეშე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი არ ფორმდება.

6. ანგარიშსწორების პირობები.

6.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.
6.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
6.3 ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანების შესაბამისად, ეტაპობივად, მიღება-ჩაბარების აქტის, გადახდის სერთიფიკატის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის და შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ობიექტის დასრულებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდგომ.
6.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.
6.5 შემსყიდველთან შეთანხმებით შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება. ავანსი არ უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო ღირებულების 30 %-ს.
6.6 ავანსის სახით წინასწარი ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ საავანსო თანხის იდენტური ოდენობის (თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში იდენტური თანხის 50%-ის ოდენობით) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში (საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით

უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას).
6.7 გადახდილი ავანსის სრულად დაქვითვა განხორციელდება, როცა შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეადგენს 70%-ს. შესაძლებელია აღნიშნული წესი შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.8. მიმწოდებელი ვალდებულია, ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.
6.9 შემსყიდველი უფლებამოსილია ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტიით განსაზღვრული საგარანტიო თანხა გამოითხოვოს გარანტისგან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.
6.10 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მხოლოდ მის მიერ ფაქტობრივი მოცულობებით შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელი მოცულობებისა და სამუშაოთა სახეობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

7. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა მშენებლობის უსაფრთხოებასა და ობიექტის დაცვაზე.

7.1. მიმწოდებელი თავად არის პასუხისმგებელი სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებაზე როგორც შემსყიდველის, ისე მესამე პირების (მათ შორის, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები) წინაშე. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის სფეროს ასევე განეკუთვნება ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენის მინიმიზაცია.
7.2. მიმწოდებელი თავად არის პასუხისმგებელი შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვაზე. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ობიექტი და ობიექტზე მყოფი თითოეული თანამშრომელი აღჭურვოს ინდივიდუალური და კოლექტიური შრომის უსაფრთხოების საშუალებებით.
7.3. გზის შეზღუდვასთან დაკავშირებული ნებართვის მოპოვების შემთხვევაში, მიმწოდებელი თავად არის პასუხისმგებელი ნიშნების შესაბამისი წესით განთავსებაზე.
7.4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე განთავსებული (ღია და დახურულ სივრცეში) მატერიალური ფასეულობების (როგორც მის მიერ შემოტანილი, ასევე დამკვეთის მოთხოვნით დემონტირებული ვარგისი მასალები და მესამე პირების (მათ შორის, მესაკუთრეების ნივთები)) დაცვასა და შენარჩუნებაზე.
7.5. მიმწოდებელი ვალდებულია სარეაბილიტაციო არეალში არსებული კომუნიკაციები, რომელიც არ წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას შეინარჩუნოს გამართულ მდგომარეობაში, ხოლო მისი დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღდგენა.
7.6. მიმწოდებელი ვალდებულია, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების/მიმდინარეობის განმავლობაში უზრუნველყოს წყლის, გაზის, ელექტროენერგიის და სხვა საკომუნიკაციო ქსელების გამრიცხველიანებიდან მოხსნა პროვაიდერ კომპანიებთან შეთანხმებით და მათი უსაფრთხო შენახვა.
7.7. მიმწოდებელი ვალდებულია სარეაბილიტაციო არეალში მოაწყოს სველი წერტილები (საპირფარეშო), და არეალში უზრუნველყოს ჰიგიენის დაცვა.
7.8. მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და სამშენებლო მოედნის მიმდებარე ადგილებზე განათავსოს საპროექტო ობიექტის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბანერები.
7.9. ხელშეკრულების 7.2. 7.7. და 7.8. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისას მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ერთჯერადად 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებელი კვლავ დაჯარიმდება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო შემსყიდველის მესამედ განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი დაჯარიმდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05 (ნული მთელი ხუთი მეასედი) %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ან შემსყიდველი ისარგებლებს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლებით და მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

8. გარემოს დაცვის თვალსაზრისით მიმწოდებლის ვალდებულებები.

8.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამშენებლო და/ან ინერტული ნარჩენებით, გაწყლოვანებული გრუნტით (ტალახით) დანაგვიანებაზე, როგორც ობიექტზე, ასევე ობიექტის მიმდებარე ტერიტორიასა და ქუჩებზე.
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაასუფთავოს ყველა სამუშაო ადგილი სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის გარეთ მათთან მისასვლელი გზების ჩათვლით მას შემდეგ, რაც დაასრულებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელთან არ გააფორმოს სამუშაოების შესრულების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და უარი განაცხადოს შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებაზე.

9. სამშენებლო სამუშაოებით დაინტერესებული პირების ინფორმირება.

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია გასცეს მხოლოდ შემსყიდველთან შეთანხმებით, რათა თავიდან აცილებულ იქნას ამ სამუშაოებით დაინტერესებული პირების არასწორი ინფორმირება.

9.2.ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ ასეთ დარღვევაზე ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

10. შესყიდვის ობიექტის ხარისხის გარანტია.

10.1. შესასყიდი ობიექტის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

10.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამშენებლო სამუშაოების <u>საგარანტიო მომსახურება</u> საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში.**

10.3. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ობიექტის სწორი ექსპლუატაციის პირობებში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებლის უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით ან უხარისხო სამშენებლო მასალის გამოყენებით გამოწვეული ნაკლის/ხარვეზის (წუნი, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლი/ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას დადგენილ ვადაში, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს წუნდებული სამუშაოს ღირებულების ტოლფასი პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა (შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ჯარიმის (პირგასამტეხლო) დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინებიდან) უნდა გადაიხადოს. თუ ხსენებულ ვადაში მიმწოდებელი არ უზრუველყოფს პირგასამტეხლოს გადახდას და ამავდროულად მოქმედი იქნება შესყიდვის ობიექტის ხარისხის გარანტია, შემსყიდველი გამოითხოვს პირგასამტეხლოს შესაბამის საგარანტიო თანხას. თუ საგარანტიო თანხა პირგასამტეხლოს ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, საგარანტიო თანხის გამოთხოვის შემდგომ შემსყიდველი მოთხოვნის უფლებას ინარჩუნებს პირგასამტეხლოსა და ხარისხის გარანტიის საგარანტიო თანხის სხვაობაზე.

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია საბოლოო ანგარიშსწორებამდე წარმოადგინოს <u>**ხარისხის უზრუნველყოფის უპირობო**</u>, გამოუთხოვადი გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაობის მთლიანი ღირებულების **2,5%-ის** ოდენობით. უპირობო გამოუთხოვადი გარანტიის მოქმედების ვადა 10.2 მუხლით განსაზღვრულ საგარანტიო ვადას 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საფინანსო წლის დასრულებამდე დარჩენილია 10 (ათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები, ზემოაღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას საფინანსო წლის დასრულებამდე. ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენამდე შემსყიდველი უფლებამოსილია არ მოახდინოს საბოლოო-მიღება ჩაბარების აქტით განსაზღვრული სამუშაოთა ღირებულების ანგარიშსწორებას. შესაბამისად, ამ შემთხვევაზე არ ვრცელდება ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3. პუნქტის რეგულირება.

10.5. თუ ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი 10.4. პუნქტით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების 2,5 %-ზე მეტი ოდენობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას ნაკლი/ხარვეზი (წუნი, დეფექტი) საკუთარი ხარჯებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა.

11.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.2. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველის თანხმობის გარეშე;

11.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

11.3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

11.3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევისთვის გამოსწორებისთვის მიცემული გონივრული ვადა უშედეგოდ გავიდა;

11.3.3. ეტაპობრივად განსახორციელებელი სამუშაოების ან საბოლოო მიწოდების ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

11.3.4. ხელშეკრულების 4.2. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

11.3.5. თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

11.3.6. მიმწოდებელი შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად მისთვის გადაცემულ ქონებას ან/და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ სხვა ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან უქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;
11.3.7. მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;
11.3.8. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;
11.3.9. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.10. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.11. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
11.3.12. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):
11.4.1. არ მოხდა შემსყიდველის მიერ იმ ობიექტის დროულად გამოთავისუფლება და მიმწოდებლისათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით გადაცემა, სადაც ან რომელზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოს შესრულება, თუ აღნიშნული მდგომარეობა გაგრძელდა ოთხ თვეზე მეტ ხანს;
11.4.2. თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
11.4.4. ხელშეკრულება წყდება ნაკისრი ვალდებულების შესრულების გამო;
11.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.5. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხვრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამათლებრივი აქტით;
11.6. ხელშეკრულების შემსყიდველის ბრალით მოშლის (შეწყვეტის) შემთხვევაში ხდება შესრულებული სამუშაოს სრულად ანაზღაურება.
11.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და მისი არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ამოქმედდება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

12. სხვა პირობები.

12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
12.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სახელმწიფო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ მხარეთა სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.
12.3. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამ გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.
12.4. შეუტყობინებლობის ან/და დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.
12.5. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოების მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
12.6. დაუძლეველი ძალის ერთ თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი.
12.7. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.
12.8. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

12.9. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები (პირგასამტეხლო (მათ შორის, ჯარიმა და საურავი) გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სანქციის გადახდის მოთხოვნა ნებაყოფლობით არ იქნება დაკმაყოფილებული დადგენილ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიღება-ჩაბარების აქტის მონაცემების მიუხედავად, უზრუნველყოს მის მიერ შესასრულებელი ანგარიშსწორების ვალდებულებიდან სანქციის თანხის გაქვითვა. ამ შემთხვევაში, შემსყიდველი არ საჭიროებს გაქვითვის თაობაზე მიმწოდებლის თანხმობას.
12.10. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
12.11. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები, ასევე, მე-3 მუხლით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ ს/კ: 445532308 იურ. მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ფაქტ. მის.: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №90ა „სახელმწიფო ხაზინა“ ბ/კ TRESGE22 ანგ.: №GE24NB0330100200165022 GEL ელ.ფოსტა: batumiketilmowyoba@gmail.com დირექტორი: აკაკი ბერიძე Municipal Infrastructure and Improvement Division Digitally signed by Municipal Infrastructure and Improvement Division Date: 2022.05.06 18:05:22 +04'00'	შპს ნიკა ს/კ: 448391758 იურ. მის.: ხელვაჩაური, სოფ.შარაბიძეები ბანკის დასახელება: პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი: MIBGGE22 ანგ.: GE25PC0033600100054734 ელ. ფოსტა: mamuka.jimsheradze@mail.ru მობ.: +995 591 717 832 დირექტორი: მამუკა ჯიმშერაძე Mamuka Jimsheradze Digitally signed by Mamuka Jimsheradze Date: 2022.05.06 18:13:30 +04'00'

ნაკრები ხარჯთაღრიცხვა

ნაკრები საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი)			
		დამატებითი ღირებულების (დღგ) გარეშე (ლარი)	**24 639.29**
		დამატებითი ღირებულების (დღგ) ჩათვლით (ლარი)	**29 074.37**

№ რიგზე	ხარჯთაღრიცხვის №	თავების, ობიექტების, სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	%	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ლარი				
				საამშენებლო სამუშაოები	სამონტაჟო სამუშაოები	მოწყობილობა და ინვენტარი	სხვა დანახარჯები	საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ლარი
1	2	3	4	5	6	7	8	9
		დემონტაჟისა და სამშენებლო სამუშაოები		23921.64				23921.64
		ჯამი		**23 921.64**				**23 921.64**
		გაუთვალისწინებელი დანახარჯები	**3%**					717.65
		ჯამი						**24 639.29**
		დღგ	**18%**					4 435.07
		სულ საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება						**29 074.37**

შპს ,,ნიკა"–ს დირექტორი: მამუკა ჯიმშერაძე

ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. №6-ში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №1-1

სარეაბილიტაციო სარემონტო სამუშაოები

			სახარჯთაღრიცხვო ღირებულება				23921.644	ლარი
			ნორმატიული ხარჯთაღრიცხვა				2318.391	ლარი

შედგენილია სრფ 2022 წლის I კვარტლის ფასების დონეზე

NN	საფუძველი	სამუშაოების დასახელება	გაზზ,	რაოდენობა		მასალა		ხელფასი		მანქანა მექანიზმები		ჯამი
				ერთ.	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	3	2	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
		I. დემონტაჟის სამუშაოები										
		სადემონტაჟო სახურავის ფართი	მ2		195.00							
	46-27-3 გამოყენებით	ხის კონსტრუქციებისა და ლარტყის დემონტაჟი	მ2		195.00							
			100 მ2		1.95							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	110	214.50			6.00	1287.00			1287.00
		სხვა მანქანები	ლარი	10.3	20.09					4.00	80.34	80.34
	46-27-4 გამოყენებით	ხის კონსტრუქციების საყრდენები დემონტაჟი	მ2		195.00							
			100 მ2		1.95							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	51.6	100.62			6.00	603.72			603.72
		სხვა მანქანები	ლარი	10.4	20.28					4.00	81.12	81.12
	46-28-4 გამოყენებით	სახურავიდან გოფრირებული ლითონის ფურცელის დემონტაჟი	მ2		195.00							
			100 მ2		1.95							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	15.9	31.01			6.00	186.03			186.03
		სხვა მანქანები	ლარი	1.7	3.32					4.00	13.26	13.26
		I. ჯამი					0.00		2076.75		174.72	2251.47
		II. სარემონტო სამუშაოები										
2		სახურავის ხის მასალა ნივნივებისა და ლარტყის ჩათვლით	მ3		9.50							
2,1	10-11	ხის მასალა ნივნივების და დამზჯენი ზოლების ჩათვლით	მ3		5.50							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	23.8	130.90			6.00	785.40			785.40
		სხვა მანქანები	ლარი	2.1	11.55					4.00	46.20	46.20
	სრფ 4,1-28	ხის ძელი	მ3	0.16	0.88	580.00	510.40					510.40
	სრფ 4,1-18	ფიცარი I კატ. 40-60 მმ.	მ3	0.83	4.57	580.00	2647.70					2647.70
	სრფ 3,2-22	ანტისეპტიკური პასტა	კგ	1.96	10.78	5.00	53.90					53.90
	სრფ 3,1-396	ტოლი	მ2	3.38	18.59	1.00	18.59					18.59
	სრფ 1,1-47	კატანკის მართული	კგ	4.38	24.09	3.00	72.27					72.27
	სრფ 1,9-2	საამშენებლო ლურსმანი	კგ	7.2	39.60	3.00	118.80					118.80
		სხვა მასალები	ლარი	3.44	18.92	3.00	56.76					56.76
2,2	10-36-1	ხის მასალა ლარტყი	მ3		4.00							0.00
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	14	56.00			6.00	336.00			336.00
		სხვა მანქანები	ლარი	1.28	5.12					4.00	20.48	20.48
	სრფ 4,1-18	ფიცარი I კატ. 40-60 მმ.	მ3	1.01	4.04	580.00	2343.20					2343.20
	სრფ 4,1-20	ფიცარი III კატ. 40-60 მმ.	მ3	0.04	0.16	580.00	92.80					92.80
	სრფ 1,9-30	ნაჭედი	კგ	2.06	8.24	3.00	24.72					24.72
	სრფ 1,9-2	საამშენებლო ლურსმანი	კგ	7.5	30.00	3.00	90.00					90.00
		სხვა მასალები	ლარი	2.68	10.72	3.00	32.16					32.16

	10-37-3	სახურავის ხის მასალის ცეცხლდაცვა	მ2		195.00							0.00
			100მ2		1.95							0.00
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.03	5.91			6.00	35.45			35.45
		სხვა მანქანები	ლარი	0.41	0.80					4.00	3.20	3.20
	სრფ 3,2-18	ხის ცეცხლსაწინააღმდეგო ხსნარი (1ლიტ =9,26 მ2)	ლიტ.		32.00	5.00	160.00					160.00
		სხვა მასალები	ლარი	0.04	0.08	3.00	0.23					0.23
	10-38-3	სახურავის ხის მასალის ანტისეპტირება	მ2		195.00							0.00
			100მ2		1.95							0.00
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	4.24	8.27			6.00	49.61			49.61
		სხვა მანქანები	ლარი	0.21	0.41					4.00	1.64	1.64
	სრფ 3,2-19	ხის ანტისეპტიკური ხსნარი (1ლიტ =3,6 მ2)	ლიტ.		82.50	5.00	412.50					412.50
		სხვა მასალები	ლარი	0.15	0.29	3.00	0.88					0.88
3	12-8-5	პროფილირებული თუნუქის ფურცელი	მ2		195.00							0.00
			100 მ2		1.95							0.00
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	83	161.85			6.00	971.10			971.10
		სხვა მანქანები	ლარი	0.41	0.80					4.00	3.20	3.20
	სრფ 1,5-5	პროფილირებული თუნუქის ფურცელი სისქით 0,5მმ	მ2		195.00	23.00	4485.00					4485.00
		სხვა მასალები	ლარი	7.8	15.21	3.00	45.63					45.63
	12-8-3	დასაკიდი ჟოლობების მოწყობა	გრძ/მ		24.00							0.00
			100 მ.		0.24							0.00
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	74	17.76			6.00	106.56			106.56
		სხვა მანქანები	ლარი	6.62	1.59					4.00	6.36	6.36
	სრფ 1,6-1	თუნუქის ფურცელი	ტ	0.67	0.16	3000.00	482.40					482.40
	სრფ 4-20	ფიცარი ჩამოგანული III კატ. 40-60 მმ.	მ3	4.45	1.07	580.00	619.44					619.44
	სრფ 1,9-2	ლურსმანი საამშენებლო	კგ	12.8	3.07	580.00	1781.76					1781.76
	სრფ 1,9-32	საამშენებლო ქანჩი	კგ	12.8	3.07	3.00	9.22					9.22
	სრფ 1,9-30	ნაჭედი	კგ	406	97.44	3.00	292.32					292.32
		სხვა მასალები	ლარი	13.3	3.19	3.00	9.58					9.58
	9-14-5	მეტალოპლასმასის თეთრი ფერის კარიფანჯრის მოწყობა ბადის გათვალისწინებით	მ2		2.10							0.00
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	2.72	5.71			6.00	34.27			34.27
		სხვა მანქანები	ლარი	0.67	1.41					4.00	5.63	5.63
	სრფ 9.3-4	მეტალოპლასმასის თეთრი კარ-ფერის ფანჯარა	მ2	1	2.10	150.00	315.00					315.00
	სრფ 9,3-10	მწერისაგან დამცავი ბადე	მ2		2.10	30.00	63.00					63.00
		სხვა მასალები	ლარი	0.656	1.38	3.00	4.13					4.13
		II. ჯამი					14742.39		2318.39		86.70	17147.47
		ჯამი I+II					14742.39		4395.14		261.42	19398.94
		სატრანსპორტო ხარჯები მასალებიდან	5%									737.12
		ჯამი										20136.06
		ზედდებული ხარჯები	10%									2013.61
		ჯამი										22149.67
		გეგმიური დაგროვება	8.0%									1771.97
		ჯამი										23921.64

ნაკრები ხარჯთაღრიცხვა

ნაკრები საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი)			
		დამატებითი ღირებულების (დღგ) გარეშე (ლარი)	**28 366.39**
		დამატებითი ღირებულების (დღგ) ჩათვლით (ლარი)	**33 472.34**

№ რიგზე	ხარჯთაღრიცხვის №	თავების, ობიექტების, სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	%	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ლარი				
				საამშენებლო სამუშაოები	სამონტაჟო სამუშაოები	მოწყობილობა და ინვენტარი	სხვა დანახარჯები	საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ლარი
1	2	3	4	5	6	7	8	9
		დემონტაჟისა და სამშენებლო სამუშაოები		27540.18				27540.18
		ჯამი		**27 540.18**				**27 540.18**
		გაუთვალისწინებელი დანახარჯები	**3%**					826.21
		ჯამი						**28 366.39**
		დღგ	**18%**					5 105.95
		სულ საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება						**33 472.34**

შპს ,,ნიკა"–ს , დირექტორი: მამუკა ჯიმშერაძე

ხახულის ქ. №53-ში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №1-1

სარეაბილიტაციო სარემონტო სამუშაოები

			სახარჯთაღრიცხვო ღირებულება				27540.182	ლარი
			ნორმატიული ხარჯთაღრიცხვა				0.000	ლარი

შედგენილია სრფ 2022 წლის I კვარტლის ფასების დონეზე

NN	საფუძველი	სამუშაოების დასახელება	გაზზ,	რაოდენობა		მასალა		ხელფასი		მანქანა მექანიზმები		ჯამი
				ერთ.	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	3	2	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
		I. დემონტაჟის სამუშაოები										
		სადემონტაჟო სახურავის ფართი	მ2		297.0							
	46-27-3 გამოყენებით	ხის კონსტრუქციებისა და ლარტყის დემონტაჟი	მ2		297.0							
			100 მ2		2.97							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	110	326.7			7.50	2450.25			2450.25
		სხვა მანქანები	ლარი	10.3	30.591					4.0	122.36	122.36
	46-27-4 გამოყენებით	ხის კონსტრუქციების საყრდენები დემონტაჟი	მ2		297.0							
			100 მ2		2.97							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	51.6	153.252			7.50	1149.39			1149.39
		სხვა მანქანები	ლარი	10.4	30.888					4.0	123.55	123.55
	46-28-4 გამოყენებით	სახურავიდან გოფრირებული ლითონის ფურცელის დემონტაჟი	მ2		297.0							
			100 მ2		2.97							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	15.9	47.223			7.50	354.17			354.17
		სხვა მანქანები	ლარი	1.7	5.049					4.0	20.20	20.20
		I. ჯამი										4219.92
		II. სარემონტო სამუშაოები										
2		სახურავის ხის მასალა ნივნივებისა და ლარტყის ჩათვლით	მ3		11.0							
2,1	10-11	ხის მასალა ნივნივების და დამზჯენი ზოლების ჩათვლით	მ3		7.0							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	23.8	166.6			7.50	1249.50			1249.50
		სხვა მანქანები	ლარი	2.1	14.7					4.0	58.80	58.80
	სრფ 4,1-28	ხის ძელი	მ3	0.16	1.12	580.00	649.6					649.60
	სრფ 4,1-18	ფიცარი I კატ. 40-60 მმ.	მ3	0.83	5.81	580.00	3369.8					3369.80
	სრფ 3,2-22	ანტისეპტიკური პასტა	კგ	1.96	13.72	20.00	274.4					274.40
	სრფ 3,1-396	ტოლი	მ2	3.38	23.66	1.00	23.66					23.66
	სრფ 1,1-47	კატანკის მართული	კგ	4.38	30.66	3	91.98					91.98
	სრფ 1,9-2	საამშენებლო ლურსმანი	კგ	7.2	50.4	3.00	151.2					151.20
		სხვა მასალები	ლარი	3.44	24.08	2.0	48.16					48.16
2,2	10-36-1	ხის მასალა ლარტყი	მ3		4.0							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	14	56			7.50	420.00			420.00
		სხვა მანქანები	ლარი	1.28	5.12					4.0	20.48	20.48
	სრფ 4,1-18	ფიცარი I კატ. 40-60 მმ.	მ3	1.01	4.04	580.00	2343.2					2343.20
	სრფ 4,1-20	ფიცარი III კატ. 40-60 მმ.	მ3	0.04	0.16	580.00	92.8					92.80
	სრფ 1,9-30	ნაჭედი	კგ	2.06	8.24	3.00	24.72					24.72
	სრფ 1,9-2	საამშენებლო ლურსმანი	კგ	7.5	30	3.00	90					90.00
		სხვა მასალები	ლარი	2.68	10.72	2.0	21.44					21.44

	10-37-3	**სახურავის ხის მასალის ცეცხლდაცვა**	**მ2**		**297.0**							
			100მ2		**2.97**							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.03	8.9991			7.50	67.49			67.49
		სხვა მანქანები	ლარი	0.41	1.2177					4.0	4.87	4.87
	სრფ 3,2-18	ხის ცეცხლსაწინააღმდეგო ხსნარი (1ლიტ =9,26 მ2)	ლიტ.		32	5.00	160					160.00
		სხვა მასალები	ლარი	0.04	0.1188	2.0	0.2376					0.24
	10-38-3	**სახურავის ხის მასალის ანტისეპტირება**	**მ2**		**297.0**							
			100მ2		**2.97**							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	4.24	12.5928			7.50	94.45			94.45
		სხვა მანქანები	ლარი	0.21	0.6237					4.0	2.49	2.49
	სრფ 3,2-19	ხის ანტისეპტიკური ხსნარი (1ლიტ =3,6 მ2)	ლიტ.		82.5	3.00	247.5					247.50
		სხვა მასალები	ლარი	0.15	0.4455	2.0	0.891					0.89
3	**12-8-5**	**პროფილირებული თუნუქის ფურცელი**	**მ2**		**297.0**							
			100 მ2		**2.97**							
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	83	246.51			7.50	1848.83			1848.83
		სხვა მანქანები	ლარი	0.41	1.2177					4.0	4.87	4.87
	სრფ 1,5-5	პროფილირებული თუნუქის ფურცელი სისქით 0,5მმ	მ2		297.0	23.00	6831.00					6831.00
		სხვა მასალები	ლარი	7.8	23.166	2.0	46.33					46.33
		II. ჯამი										**18238.70**
		ჯამი I+II					**14466.92**		**7634.08**		**357.63**	**22458.63**
		სატრანსპორტო ხარჯები მასალებიდან	5%									723.35
		ჯამი										**23181.97**
		ზედდებული ხარჯები	10%									2318.20
		ჯამი										**25500.17**
		გეგმიური დაგროვება	8.0%									2040.01
		ჯამი										**27540.18**